

საგაზელო

ეროვნული
ზინა

საორტული გაზეთი

პარასკევი 12 აპრილი 2002 №64 (1586)

ფასი 50 თეთრი



იტალია ჩაჩაქმეს



„მილანი“ — „დორტმუნდი“ 3:1. კახა კალაძემ, პირველმა ქართველმა, უფას თასის ნახევარფინალს რომ უწია, ფინალში ვეღარ გააღწია. არადა, მილანელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო

ჩემპიონთა ლიგის შორიდანლა მზირალ იტალიულებს დამცრობილი ამბიციების დასაქმაყოფილებლად გაბრძოლება უეფას თასზე შექლოთ. თანაც მანსი გაორმაგებული ჰქონდათ: გუნდები ორივე ნახევარფინალურ მატჩში ჰყავდათ: „მილანი“ „დორტმუნდის“ და „ინტერი“ „ფეიენოორდის“ წინააღმდეგ. ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. გუშინდელ საპასუხო მატჩებში ვერც „მილანმა“ მოახდინა სასწაული — 0:4-ს 3:1 უპასუხა და ვერც „ინტერმა“ გამოისყიდა შინაური 0:1. ერთი სიტყვით, 8 მაისის როტერდამული ფინალი ჰოლანდიურ-გერმანულია

REUTERS მილანიდან

ფაიანოროდი VS დორტმუნდი

კობიაშვილით გაზაპვი და რუსი ბენერლეზი დაინტერესდნენ თავად ლავანს კი კაიზერ ფრანცი და ჰიტფელდი ურჩავნია

ბუნდესლიგიდან გავარდნის პირას მყოფი „ფრაიბურგის“ ქართველ ნახევარმცველ ლევან კობიაშვილს რუსეთში ეპატიუებიან. როგორც შევითყვეთ, მოსკოვის ცსკა და მისი მწვრთნელი ვალერი გაზაპვი, რომლის ხელშიც კობიაშვილს ვლადიკავკაზის „ალანიაში“ უთამაშია, რუსეთის კვალბაზე საკმაოდ სოლიდური თანხის სანაცვლოდ ცდილობენ ჩვენებურის გადაბირებას. ცსკა ამჟამად რუსეთში ერთ-ერთ ყველაზე შეძლებულ კლუბად ითვლება. სეზონის დაწყებამდე რუსმა არმიელებმა რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერი გაახერხეს და ისე გაძლიერდნენ, ჩემპიონობისთვის ბრძოლასაც აპირებენ. მწვრთნელი ვალერი გაზაპვიც სეზონის წინ მივიდა გუნდში და, კლუბის ხელმძღვანელებს თურმე მაშინვე ჩამოუგდო სიტყვა კობიაშვილის შექენის თაობაზე. ისიც შევითყვეთ, რომ ცსკა და „ფრაიბურგი“ კობიაშვილის ყიდვა-გაყიდვაზე მოსალაპარაკებლად უახლოეს მომავალში უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. თავად ფენბურთელი კი არმიელთა წინადადებისგან თავს შორს იჭერს და რუსეთში დაბრუნებას არ აპირებს: — დიას, ვიცი, ჩემით ვალერი გაზაპვი და ცსკა არიან დაინტერესებული. დიდი სურვილი აქვთ, მოსკოვში ვი-

თამაშო, მაგრამ მე სხვანაირად ვფიქრობ. რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ რუსეთში დავბრუნდე, თუმც კი გამორიცხულიც არაფერია — გვიტხრა ლევან კობიაშვილმა გუშინ, გერმანიაში რომ დაფუკავშირდით. ლევანს კლუბთან კონტრაქტი გაისად, სეზონის ბოლოს უმთავრდება, მაგრამ მისი „ფრაიბურგში“ დარჩენის შანსი ისეთივე მცირეა, როგორც ცსკა-ში გადასვლის. არმიელთა გარდა კობიაშვილზე სხვა და შეუდარებლად სახელოვან კლუბებს უჭირავთ თვალი, რომელთაგან ერთ-ერთი მიუნხენის „ბაიერნი“ ყოფილა. ამას არც თავად ლევანი უარყოფს: — „ფრაიბურგს“, ვფიქრობ, სეზონის დამთავრებისთანავე დავემშვიდობები. ბევრი გუნდი მეპატიუება და ახლა არ ვიცი, კარიერას სად გავაგრძელებ. მე კი მსურს, ბუნდესლიგაში დავერჩე და უფრო ძლიერ გუნდში ვითამაშო. ვერ ვიტყვი, „ბაიერნი“ გადასვლის ვარიანტი გამორიცხულია-მეთქი. ვნახოთ, ბუნდესლიგის ჩამთავრებამდე ოთხი ტური დარჩა და ჩემი ტრანსფერის ამბავიც მალევე გაირკვევა.



კობიაშვილით ფოტო

კობიაშვილი

უეფას თასი. ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები გუშინ

მილანი (იტალია) 3:1 დორტმუნდი (გერმანია) (0:4)
 40 ინსაგი (11), 20 კონტრა (19), 30 სერენიო (89), 31 რიკენი (90)
 მილანი: აბიატი, პელონი, ლაურსენი, შამოტი, კაპლანო, კონტრა (ზოსე მარი 63), გატუზო (ალბერტინი 76), სერენიო, პარლო, შეჩინო (სიმონე 68), ინსაგი
 მწვანელი კარლო ანელი
 დორტმუნდი: ლემანი, ვიორმა, მეცელდერი, შაინრიხი (ევანდოსონი 58), დედე, როიტერი, ოლისე, ევრტინი (რიკენი 73), როსიცი, ამოროზო, იან კოლერი
 მწვანელი: მათიას ზამერი
 გაფრთხილება: გატუზო, ინსაგი, როიტერი, კონტრა, დედე, ლაურსენი, მეცელდერი
 მსაჯე: ფილ ვესიე (საფრანგეთი)
 15 301 მიწურბელი

ფეინორდი (ჰოლანდია) 2:2 ინტერი (იტალია) (1:0)
 40 ვან პოიდონი (16), 20 ტომასონი (34), 21 კ. ძანეტი (84), 22 კალონი (90)
 ფეინორდი: ზუტეხი, გიანი, ვან ვონდერენი, პაუვე, აროსი, ემერტონი, ბოსველტი, კალუ (დუშანტუმი 74), ვან პერსი (ლეონარდო 35), ტომასონი, ვან პოიდონი
 მწვანელი: ბერტ ვან მარვიკი
 ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, მატერაცი, ფერარო, დი ბიაჯო, დელაპე, კ. ძანეტი, ემერ, ზეცდორფი (კომსეასუ 58), რონალდო (კალონი 69), ვენტოლა
 მწვანელი: ექტორ კუპერი
 გაფრთხილება: აროსი, კ. ძანეტი, ხ. ძანეტი, ემერ, ფერარო, ემერტონი, დი ბიაჯო, ვან პოიდონი
 მსაჯე: ზოსე ანტონიო ლობეს ნიტო (ესპანეთი)
 45 000 მიწურბელი

ფინალი
 8 მაისი, რატიონალიზმი „დე კუპი“
 ფეინორდი — დორტმუნდი



ფეინორდი — ინტერი. ექტორ რაულ კუპერმა რონალდოს ერთხელაც გააშლევინა ფეხი, მაგრამ „ინტერს“ ამით რა...



მილანი — დორტმუნდი. ანდრეი შევჩენკო გუშინ დორტმუნდელთა ჩრდილში იყო



ფინალში გასულს გახარებაზეც ეტყობა... ჰოლანდიელი პიერ ვან პოიდონი (მარცხენა ფოტო) და დორტმუნდელი მწვანეთელ-შეგირდი: მათიას ზამერი და მარსიო ამოროზო



პოლონეთი პოლონეთაგად და 0:5 ესპანელებსგან

გუშინ ესპანურ ბადახოსში შეკრებაზე მყოფმა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა პირველ მატჩში ისლანდიელთა 3:1 ძლევა, მასპინძელ ესპანელებთან 0:5 გაანდგურება მიაყოლა. კობა ფორეკაშვილის შეგირდები ხვალაც ითამაშებენ — ქართველი ჭაბუკები პოლონელ თანატოლებს შეხვდებიან მესამე ადგილისთვის მატჩში. საქმე ისაა, რომ მინი-ტურნირი ორ ჯგუფად ჩატარდა. პოლონეთი, რომელიც სწორედ ჩვენებურთა ერთ-ერთი მეტოქე დანიაში გასამართ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, თავის ჯგუფში გუშინვე რუმინეთთან დამარცხდა და ფინალშიც ქართველთა გამანდგურებელ ესპანელებს გორგე პავის თანამემამულეები „გადაულოცა“.

„შედეგს ყურადღებას არ ვანიჭებთ, აქ მთავარი ჩემპიონატისთვის სათანადოდ მომზადება და გუნდის შეთამაშება გახლავთ“ — გვითხრა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ლევან ყიფიანმა, როცა გუშინ ბადახოსში დაჯუკავშირდით.

გიორგი მუხაკიძე

უგეიტარია
 თასის ნახევარფინალი

ბაზელი ხ.დ.დ. (ბენ.43, 4) იანს ჰოისი **დორტმუნდი**

კალათბურთი

ევროლიგა
 მესამე ჯგუფის მატჩი. V ტური. II აპრილი

E ჯგუფი სპარტაკი 71:90 სპირიტი	F ჯგუფი კინდორი 78:82 რაბი
G ჯგუფი ბანათინაიკოსი 96:72 დ.დ. (8:8) აპი	H ჯგუფი ცსპა 73:90 ტაუ
ლიგა ლიგა 85:89 დ.დ. (7:7) ოლიმპი	უცხარი „უცხარი“ თელ აფეთქი სათამაშოდ არ ჩაეფიდა

სარბიელი
სამუშაოდ ინვესტ
 ბაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიღება მოხდება შარბივით მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
 ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14



ნავსი ივან კლასნიჩი

მერკა რა, რომ სველი იყო ბერნაბეუ ფიგურა ჯოჯოხეთი აირიდა

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ“. 75 000 მსმელი. მსაჯი: სტიფანო ბრასკი (იტალია)
ჩემპიონი 2:0 ბაიერნი (1:2)

1:0 ელგერა (69), 2:0 გუტი (85)

სესარი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ (ჯერემი 89), მაკელელე, ზიდანი, სოლარი, რაული, მორინტესი (გუტი 81)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

კანი, კუფური (პიზარო 94), ლინკე, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, პარგრეისი, ეფენბერგი, იერემისი (ფინკი 84), სალიჰამიჯიჩი, ელბერი, სანტა კრუზი
მწვრთნელი: ოტმარ შიფელდი

მაწვრთნელი: ეფენბერგი, იერემისი, იერო, ელგერა, ფიგუ, სოლარი

მაძველები: სალიჰამიჯიჩი (90)



ახოსე მარია გუტი (№14) კი მეორე გოლი გაიტანა

რას არ ნახავ ხავი

მართლაც და, რას არ ნახავ კაცი. მაგალითად, 10 აპრილს მადრიდში ქარსა და გადაულელებელ წვიმას. ანდა, ვთქვათ, როგორ ვერ ახერხებს „რეალის“ თავდასხმული ფერნანდო მორინტესი პირველ ტაიმში ორჯერ ბურთისთვის ფეხის მიტრყმას, კარში რომ შეაგდოს. ან კიდევ, ვთქვათ იმას, როგორ ესვრიან ტრიბუნებიდან რაღაც საგნებს „ბაიერნის“ ლიდერს შტეფან ეფენბერგს, როდესაც ის კუთხურის ჩასაწოდებლად მიდის. და იმასაც, რომ ამ საგნებს მაინცდამაინც ეფენბერგს ესვრიან და არა ვთქვათ, სალიჰამიჯიჩის — ალბათ, იმიტომ, რომ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში გამაღიზიანებლად იმუქრებოდა. მერე, ამის შემყურეს, შეიძლება ის თამაში გაგახსენდეს, „ბარსელონა“ „რეალში“ გადასული ლუიშ ფიგუ კატალონიელთათვის საძულველი თეთრი მაისურით „კამპ ნოუზე“ პირველად რომ დაბრუნდა და ტრიბუნებიდან ზუსტად ასე მოფრინავდა ათასგვარი საგნები. ეს რომ გაგახსენდება, ეჭვი გაგიჩნდება, რომ იგივე გაახსენდა ფიგუსაც და შემდეგ ორივეს ერთად გახსენდება, რომ თუ ნახევარფინალში „რეალი“ გავაპირველი თამაში სწორედ „კამპ ნოუზე“ მოუწევს. შემდეგ ხდება ასეთი რამ: „რეალს“ „ბაიერნის“ კარში გოლი გაატყეს და პორიზონტზე მართლაც მოსჩანს „კამპ ნოუ“, ხოლო ეფენბერგი აუტის ხაზთან ტრიბუნებიდან მორიგი ვაშლის თუ „ბუბლიკის“ მსროლელთან აგრძელებს ურთიერთობის გარკვევას, ამის შემყურე ფიგუ გარბის მსაჯთან და უჩხავის, ეგ ეფენბერგი გააფრთხილეთ, რისთვისაც მსაჯი ყვირთ ბარათს აჩვენებს, ხოლო ჩვენს ეკრანებზე იწერება: ლუიშ ფიგუ შემდეგ თამაშს გამოტოვებს. და ვინაიდან ჩვენ კარგად ვიცით, რაც არის შემდეგი თამაში და ნამდვილად რომ ეს თამაში იქნება და არა „ბარსელონა“ — „ბაიერნი“, ეს გარემოს უკვე კოჭებში ეტყობა, ეჭვი გვიჩნდება, რომ აქ ქართველებმა და იქ პორტუგალიელმა ზუსტად ერთნაირად ვიფიქრეთ, თან ისეთი რამ, რასაც ბევრი სხვა ერის წარმომადგენელი ვერ მიხვდება. მაგრამ ეს ყველაფერი არაჯანსაღი ეჭვია, იმიტომ, რომ თამაში გრძელდება, იმიტომ, რომ წვიმს და ქარია, იმიტომ, რომ ერთმანეთს ორი ძალიან ძლიერი გუნდი ეთამაშება, იმიტომ, რომ გამაღიზიანებელი ეფენბერგიცა და ჩვენ რომ ვიფიქრეთ ისეთი ფიგუც, ძალიან დიდი ფეხბურთელები არიან

და მათ გარდა სველ მოედანზე დარბიან ზიდანი, რაული, რობერტო კარლოსი, ელბერი, ლიზარაზუ, დაღის ფერნანდო იერო...
მერე რა, რომ მსაჯმა სოლარის წაქცივისთვის პენალტი არ დანიშნა და სალიჰამიჯიჩი ბოლოს, ალბათ, ტყვილად გააგდო. მერე რა, რომ მან ვერც ის დაინახა, როგორ მიარტყა რაულმა ლინკეს ცხვირში იდეალური მეორე გოლის გატანის წინ. მერე რა, რომ გერმანული ფეხბურთის ქომაგებმა ამ ეპიზოდში ლინკე დაადანაშაულეს — აბა, ძველი თაობის გერმანელებიდან ასეთ მირტყმულზე რომელი გადაკოტრილდებოდა და მოწინააღმდეგეს ხელ-ფეხს რომელი გაუსხნიდაო.
მერე რა... მერე რაულის პასით გუტიმ გოლი გაიტანა და 2:0 გახდა, ხოლო „ბაიერნს“ სერიოზული შტურმის მოწყობა გაუჭირდა — რას არ ნახავ კაცი.

კაცი კიდევ ზიდანის საუცხოო, ჩახვეულ დარტყმასაც ნახავ, მეკარისგან მარცხნივ ხარისხს რომ ხვდება და სასწაულსაც: საფინალო სასტვენის შემდეგ ეფენბერგი ყველა მეტოქეს გადაეხვია და ლამის ყველას გაუცვალა თავისი ერთი მაისურა. რა დიმილიანი კაცი ყოფილა!
და რატომ ვერ შეძლო „ბაიერნი“ შეტევა? რატომ გაატარა ფაქტობრივად მთელი თამაში დაცვაში? ამბობენ, ვერ კი არა, არ შეუტია, ასე ჰქონდა დაგეგმილი, მიუნხენში მოპოვებული უპირატესობა უნდა შეენარჩუნებინაო. იმასაც ამბობენ, არ კი არა ვერო... მართლაც და რას არ ნახავ კაცი!


მითინება ფასდება

მატჩის შემდეგ „რეალის“ მწვრთნელს ვისენტე დელ ბოსკეს სახეზე ძალიან ფართე ღიმილი ეფარა.
„განსაკუთრებული თამაში იყო — თქვა მან — ბრძოლით გამორჩეული, კარგად შესრულებული, მჭიდრო, ფიზიკურად დამქანცველი, ნერ-

ვიული და იმავლოდ ძალიან ტაქტიკური. ჩვენ მეტისმეტად დიდი მოთმინება გამოვავლინეთ და ნერვებს არ აყვევით მაშინაც კი, როდესაც გოლი არა და არ გადიოდა. ძალიან ბევრ მომენტს ვქმნიდით და ველოდით, როდის გაგვიმართლებდა. გოლის შეგდება დროის ამბავი იყო.“
შემდეგ დელ ბოსკემ დასძინა: „ამრიგად, „რეალი“ ჩემპიონთა ლიგაში თავის დიდებულ სვლას განაგრძობს, მაგრამ დროა ეროვნულ პირველობაზე გადმოვივრთოთ. ერთხანს ფიქრი საშინაო საქმეებზე უნდა გადავიტანოთ, რათა შემდეგ მთელი ენერჯით „ბარსელონასთან“ ნახევარფინალური შეხვედრებისთვის მოვემზადოთ. მჯერა, ჩვენი და „ბარსელონას“ ნახევარფინალური დაპირისპირება დაუვიწყარი რამ იქნება.“

გვაჯობას

„ბაიერნის“ თავკაცმა ოტმარ შიფელდმა მეტოქეს გამარჯვება მიულოცა:
„მატჩის პირველი წუთიდან უპირატესობას „რეალი“ ფლობდა. ამ გუნდმა მთელი 90 წუთის განმავლობაში საგანგებო პრესის ქვეშ მოგვიძვევია და ახლა ღირსეული გამარჯვებულია. მათ ჩვენზე გაცილებით უკეთ ითამაშეს, მეტადრე მეორე ტაიმში.“
ტაქტიკაზე შიფელდმა ასე ბრძანა: „ზოგადად „ბაიერნს“ ნაირგვარად შეუძლია თამაში, მაგრამ დღეს დაცვითი ფეხბურთის სათამაშოდ ვიყავით მზად გვინდოდა ბურთი გვეკონტროლებინა არ გამოგვივიდა. ამასთან უნდა ვთქვა, რომ რაულმა და რობერტო კარლოსმა რამდენჯერმე ოუხეშეს, მსაჯმა კი თამაში არ გააჩერა. ეს უსამართლობა იყო.“



მადრიდელმა ქომაგებმა შტეფან ეფენბერგს თავი მიხანში ზუსტად ამოიღეს

და ბოლოს იმაზე, რომ იმედით ცოცხლობს ადამიანი: „გაეწვილიდი, მაგრამ ვამაყობ კიდევ ჩემი გუნდით. ჩემმა მოთამაშეებმა მაქსიმუმი გააკეთეს. განსხვავება ჩვენსა და „რეალს“ შორის ის არის, რომ მადრიდელებმა გუნდის გასაძლიერებლად წინა ზაფხულს დიდძალი ფული დახარჯეს, ჩვენ კი არა. ამიტომაც, შარშან მოვიგეთ, ახლა წავაგეთ. რას იხამ, ცხოვრება ამით არ მთავრდება. გაისად გუნდს გავაძლიერებთ.“


30ნიბუ ინერჩენას ხავი

აი, ასეთი წარმოდგენა გვაქვს ჩვენ ინდიელუბზე. ალბათ, ახალ თაობას ნაკლებად, მაგრამ ოცდაათს, ორმოცს, ორმოცდაათს... ასს გადაცილებულ ბებრებს ნანახი გვაქვს ფილმები გიოკო მიტიჩის მონაწილეობით და კარგად ვიცით, რომ ინდიელები ტომპაკეებს ისვრიან, თავში ბუმბულები აქვთ გარტობილი და სარკის ნატუნში ოქროს ცვლიან.
და ძალიანაც ცვლებით. ამ დროს კი მადრიდის „რეალში“ დაფრინავს ერთი სიმპათიური 25 წლის ახალგაზრდა, პასპორტით არგენტინელი, რომელსაც თამაში სულაც არ აქვს ბუმბული გარტობილი და ამბობს:
„მე ჩემპიონთა ლიგაში გამომართლა. იქ მეტი გოლი გამატყეს, ვიდრე ესპანეთის ჩემპიონატში. არადა, ხშირად ძირითადში ვერ ვხვდები, რადგან „რეალში“ ძალიან დიდი ფეხბურთელები თამაშობენ და კონკურენციაც შესაბამისია. მაგრამ ამას ახლა მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ ჩვენ ნახევარფინალში ვართ და იქ „ბარსელონას“ უნდა შევხვდეთ. ჩემპიონთა ლიგა მართლაც ასეთი თამაშებისთვის უნდა გიყვარდეს კაცს. ეს ისეთი თამაშები იქნება, კარიერას რომ დაგიშვებენ, სამუდამოდ რომ დაგამახსოვრდება. ერთი სიტყვით, ნახევარფინალში დიდებული სანახაობა გელით.“
და თუ სანტიაგო სოლარიმ ეს ორი კვირა მართლაც ისევე ითამაშა, როგორც „ბაიერნთან“, გარანტიას გაძლევთ, მას „კამპ ნოუზე“ ვიხილავთ.

გააჟანა გილი



ლუიშ ფიგუ ბარსელონაში ჩასვლას გადაირჩა



ოტმარ შიფელდმა „რეალის“ ძალა აღიარა და მსაჯსაც უჩივლა



სანტიაგო სოლარიმ წინაპართა ტომპაკეი ბურთზე გაცვალა




მსოფლიოს ჩემპიონატი

F ჯგუფი: არგენტინა, ნიგერია (ინგლისი) შავი




ფართობი: 129 634 კმ²
მოსახლეობა: 42 800 000
დედაქალაქი: ლონდონი
ფეხბურთის ასოციაცია დაარსდა 1863 წელს
ფიფას წევრი 1905 წლიდან
უეფას წევრი 1954 წლიდან
ასოციაციის თავმჯდომარე:

ჯეფრი ტომპსონი
გენერალური მდივანი:
ადამ კროზი
სტადიონი:
„ვილა პარკი“ (40 000),
„ელანდ როუდი“ (43 000)
მწვერული: სვენ გორან ერიკსონი
ქაპიტანი: დევიდ ბექემი
ფორმა: თეთრი მაისურა,
შავი ტრუსი, თეთრ-შავი გეტრები
ტიტულიანი კლუბები:
„ლივერპული“, „ტოტენჰემი“,
„მანჩესტერ იუნაიტედი“,
„ნოტინგემ ფორესტი“, „ფსვიჩი“,
„არსენალი“, „ნიუკასლი“,
„მანჩესტერ სიტი“, „ლიდსი“,
„ჩელსი“, „ვესტ ჰემი“
ადგილი ფიფა-ქოკა კოლას
რეიტინგში: 12



ინგლისი, მათი ინგლისი



სვენ გორან ერიკსონი

როცა ინგლისის ნაკრების მენეჯერად სვენ გორან ერიკსონი დაინიშნა, ამ ქვეყანაში ერთი ვაიუშელებელი ატყდა, საღაური წესია, ფეხბურთის სამშობლოს ეროვნულ გუნდს უცხოელი, თანაც შვედი უწევრთნიდესო.

ნაკრების თავკაცი არასოდეს ყოფილა სქოთიც კი, თუმცა ბრიტანეთის ყველაზე ტიტულოვანი საკლუბო მწვერთნელები სწორედ სქოთები არიან.

და მაინც, შვედმა მძიმე დღეში ჩავარდნილი ნაკრები ჩაიბარა, გამოავლინა და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც გაიყვანა. იმ ერთ წელიწადში, რაც ერიკსონმა ნაკრებს ხელი მოჰკიდა, მისმა გუნდმა მხოლოდ ორი ამხანაგური თამაში წააგო პოლანდიელებთან და იტალიელებთან და მოიგო შესარჩევი ციკლის ყველა შეხვედრა, მათ შორის მიუნხენში, გერმანელებთან — 5:1. ამან კი ის გამოიწვია, რომ ბევრმა სკეპტიკოსმა ცნო შვედის ნიჭი და დიდი პროფესიონალიზმი.

არაფინ იცის, რას გამოჰკრავს ხელს კორეა-იაპონიაში ინგლისელთა გუნდი. თუკი ჩემპიონატის ოთხი-ხუთი ფაფორიტი დასახელება, ინგლისიც იმათ შორის უნდა მოვიხსენიოთ. ერიკსონის ხელქვეით რამდენიმე მსოფლიო ვარსკვლავია დევიდ ბექემისა (თუმცა ბექემის

ტრავმის გამო, ამ უკანასკნელის კორეა-იაპონიაში თამაში დიდად საეჭვოა) და მაიკლ ოუენის თავკაცობით და კარგად მომზადებულ ნაკრებს უმაღლესი ტიტულისთვის ბრძოლაც შეუძლია.

ერიკსონს ხუთწლიანი კონტრაქტი აქვს ფეხბურთის ასოციაციასთან და ამ თანამდებობაზე დანიშნისას მისი პირველი სიტყვები იყო: „ამ ხუთ წელიწადში მე ვეცდები, რომ მსოფლიოს თასი მოვიპოვო ნაკრებთან ერთად“.

ცხადია, რომ გამოცდილ და ტიტულოვან ერიკსონს გულში სწორედ ჩემპიონობა ამოუტრია. ის წინდახედული და შემოქმედი მწვერთნელია და მის ხელქვეით მყოფ ფეხბურთელთა საერთო დონეც აძლევს იმის საშუალებას, რომ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლოს. ინგლისელ ვარსკვლავთა ახალ თაობაში ბევრი დიდებული ფეხბურთელია, ვოქვათ, სტივენ ჯერარდი და რიო ფერდინანდი, ანდა კირონ დიერი და ემილ ჰესკი. წინა კვირაში ერიკსონმა გამოაქვეყნა ნაკრების სამსოფლიოთასო სია, მან დაასახელა 21 ფეხბურთელი და კიდევ შვიდი, რომელთაგან ორიც მოხვდება ნაკრებში.

მთელი შესარჩევი ციკლის განმავლობაში და, ცხადია, ამხანაგურ მატჩებშიც, ერიკსონი კარგახსნილობის პოლიტიკას მიხედვდა და ნაკრებში ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილი და ვარგისი ფეხბურთელი ათამაშა, მაგრამ როცა საქმე არჩევაზე მიდგა, არჩევულებრივი სიმკაცრით შეარჩია 21 მოთამაშე. ასე ვერ მოხვდნენ ნაკრებში მისი ძველი წევრები, სტივ მაკმანამანი, ენდი კოული და ფილ ნევილი. სამაგეროდ, ერიკსონი ენდო „საუთჰემპტონელ“ მკველ უეინ ბრიჯს და „მანჩესტერელ“ ნიკი ბათს. ეგებ ბევრისთვის მოულოდნელად, ერიკსონის ნაკრები გვარია-ნად ზორბა და ხისტი მოთამაშეებით გაივსო.

ყველაზე ასაკოვანი გუნდში ორმოცს მიტანებული მეკარე დევიდ სიმენი, მისი კოლეგა ნაიჯელ მარტინი და უბერე-მელი ტელი შერინგემი არიან.

თქმა არ უნდა, ინგლისის ნაკრები ურთულეს ჯგუფში მოხვდა. მეორე ეტაპზე გასასვლელად ინგლისელები ძველ და უხერხულ მეტოქეს, ჩემპიონის




2001 წლის 1 სექტემბერი. გერმანია — ინგლისი 1:5. მაიკლ ოუენმა მიუნხენში პით თრიტი შეასრულა

ნობის ერთ-ერთ ფავორიტ არგენტინას, მათი მწვერთნელის მშობლიურ შვედეთსა და აჭრილ, თუმცადა, ნაცად და ეკლიან ნიგერიას უნდა ებრძოლონ. ინგლისელებს ყოველთვის მძიმე გზები ეფინათ მსოფლიოს ჩემპიონატებზე. მათი გამოსვლები სავსე იყო დრამებითა და ხშირადაც უიღბლობით. თუმცა, ინგლისის ნაკრები ყოველთვის ტოვებდა კვალს მსოფლიოს ჩემპიონატებზე. სხვაგვარი რამ არც ახლავს მოსალოდნელი, იმ განსხვავებით, რომ ზოგჯერ უიღბლობასა და საკუთარ შეცდომებსაც უნდა სძლიო, რაც ერიკსონის გუნდს ხელეწიფება.

ირაკლი ბაგჩყალიძე

ოპტიმალური შეხადგენლობა



განრიგები	
2 ინგლისი	
საიტამა (იაპონია) 9.30 საათი	„საიტამა სტადიუმი“
ინგლისი – შვედეთი	
7 ინგლისი	
საპორო (იაპონია) 15.30 საათი	„საპორო დომე“
ინგლისი – არგენტინა	
12 ინგლისი	
ოსაკა (იაპონია) 15.30 საათი	„ნავაი სტადიუმი“
ინგლისი – ნიგერია	
მატჩების დასაწყისი — თბილისის დროით	

გზა მსოფლიოსკენ

IX ჯგუფი	
07.10.00	
ინგლისი 0:1 გერმანია	11.10.00
ფინეთი 0:0 ინგლისი	24.03.01
ინგლისი 2:1 ფინეთი	28.03.01
ალბანეთი 1:3 ინგლისი	06.06.01
საბერძნეთი 0:2 ინგლისი	01.09.01
გერმანია 1:5 ინგლისი	05.09.01
ინგლისი 2:0 ალბანეთი	06.10.01
ინგლისი 2:2 საბერძნეთი	
საპოლორი ცხრილი	
ინგლისი	8 5 2 1 16:6 17
გერმანია	8 5 2 1 14:10 17
ფინეთი	8 3 3 2 12:7 12
საბერძნეთი	8 2 1 5 7:17 7
ალბანეთი	8 1 0 7 5:14 3

ტიტულები

მსოფლიოს ჩემპიონი (1): 1966
მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედიწლიისტი (2): 1954, 1962
მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალისტი (1): 1990
ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისტი (2): 1986, 1996

Table with multiple columns (Time, Item, Values) and sections for 'პოლიტიკა', 'ეკონომიკა', and 'კულტურა'. Includes various sub-sections like '13 აპრილი', '14 აპრილი', etc.

ფორმულა 1. IV რბოლა (სან მარინო, იმოლა). 14 აპრილი 18.00 811. რბოლის გამარჯვებული

Table of scores for Formula 1 race, listing drivers and their times in minutes and seconds.

812. უსწრაფესი წრე

Table of lap times for the fastest lap (812), listing drivers and their times.


813. რამდენი პილოტი დაამთავრებს რბოლას

Table of pilot counts for race completion (813), listing drivers and their status.

814 სხვაობა I და II ადგილებს შორის

Table of time differences between top positions (814), listing drivers and their time gaps.

Table with multiple columns (Time, Item, Values) for various items, likely related to the race or event, including item numbers like 707-722.



საფრანგეთი, პირველი ღივიზიონი, 2001-02. XXXII ტური

Table with columns for match number, date, time, and player names. It lists 10 matches with details on goals, assists, and game statistics.

Table with 18 columns representing players and rows for each player's performance across 18 matches. The header row is labeled with player initials.

საფრანგეთი, მეორე ღივიზიონი, 2001-02. XXXVI ტური

Table with columns for match number, date, time, and player names. It lists 8 matches with details on goals, assists, and game statistics.

Table with 20 columns representing players and rows for each player's performance across 20 matches. The header row is labeled with player initials.

რუსეთი, უმაღლესი ლიგა, 2001-02. VII ტური

Table with columns for match number, date, time, and player names. It lists 7 matches with details on goals, assists, and game statistics.

Table with 16 columns representing players and rows for each player's performance across 16 matches. The header row is labeled with player initials.

ტორტო...

კორიდა სპორტი არ არის, კორიდა თბი და შევლელისა, მაგრამ კორიდა ჯადოსნურად ლამაზია და თუ ალფრედ შიჩოუს დაგვსესხებთ, ზოგჯერ შეიძლება ლამაზია (მხოლოდ წიგნებში და კორიდაში, რა თქმა უნდა) უნდა იყოს ხარის ბანდერილიებს ასობს. ეს სვეცილის მავსტრანსას მოედანზე ხდება.



REUTERS სიენადან

ნაცნობი სურათი

რა უყვარს შუმის და ფეხბურთი. ძნელად, რომ ბურთი გაგორდეს სადმე და „ფერარის“ ლიდერი და ფორმულის დიდი ჩემპიონი იქ არ გაჩნდეს. მისაეულ შუმასხერი ბურთით, ნაცნობი სურათია. საქველმოქმედო მატჩი კი სიენაში შედგა.



ზედიზედ ბეორად

„ისპის“ ჯილდოებს ყოველწლიურად გადასცემენ წლის სპორტსმენებსა და სპორტულ მოვლენათა გამორჩეულ მონაწილეებს. ამ საქმის მოთავე ტელეკომპანია „იესპინია“, რომელსაც ერთ დროს თბილისშიც ვუყურებდით. ზედიზედ მეორე წელიწადია, შოუს წამყვანი კინოვარსკვლავი სემუელ ჯონსონი იქნება, რომელიც ყველას გვახსოვს როგორც ბიბლიისმოყვარე მკვლელი კვენტინ ტარანტინოს ფილმიდან „მაკულატურა“.



REUTERS ლონდონიდან

მარათონის წინ

კვირას ადრიან დილიდანვე ლონდონის განთქმული მარათონი გაიმართება, ბრიტანეთის დედაქალაქში უკვე თავს იყრიან სამყაროს განთქმული მორბენლები, რომლებიც მოყვარულებთან ერთად გამოვლენ ქუჩებში. ამით შორისაა მსოფლიოს რეკორდსმენი 10 ათას მეტრზე რბენაში ჰაილე გებრასილასი, რომელიც ხალხით აფრიალებს მშობლიური ეთიოპიის დროშას ტაუერის ხედის წინ.



არა, ისა...

ფიფას სახალხო ელჩი იურგენ კლინსმანი მსოფლიოს თასს გადასცემს კორეის ნაკრების მოთამაშეს ჰონგ მიუნგბოს. რა თქმა უნდა, არც კლინსმანი შექნილა ფიფას თავკაცი და არც კორეელები გამხდარან მსოფლიო ჩემპიონები, მაგრამ ღონისძიება ღონისძიებაა და სანამ თასი კიუნგბოის სასახლეში დაიდებდეს ბინას, ამგვარი დამაბნეველი ფოტოებიც გაჩნდება ხოლმე.

ნიკოლი ლეიკარსტან

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ თამაშებზე ბევრ გარსეულაგს ნახავთ ხოლმე. აგე, ქმარსგაცილებული ნიკოლ კიდმანიც აქა ყოფილა თავის გაუ კონერ ენტონისთან ერთად და „იუტა ჯაზის“ დამარცხებითაც უსიამოვნია.



სარბიელი
საორტული გაზატი
გამოიცემა 1990 წლის
28 დამამბრადან
გამოდის საგაბათს,
ოთხგაბათს, ხუთგაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოცხვერიანი
დირექტორი ბიორბი ოძროშქელიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: რედაქტორი ბიორბი ღარჯანიანი
ვიო ასველდანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, ვიორგი ვაშაქიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: ვია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაიო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლონჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გულუაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაცია დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე მახაბავის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვებ-საიტი http://www.sarbieli.com.ge